


პოზიცია	საინფორმაციო კითხვარი									
1	წიაღითსარგებლობის ობიექტი – ქ. გარდაბნის ტერიტორიაზე მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება.									
2	წიაღითსარგებლობის ობიექტის (წყაროს, ჭის, ჭაბურღილის) მდებარეობა									
2.1	რეგიონი – ქვემო ქართლი									
2.2	მუნიციპალიტეტი – გარდაბანი									
2.3	ადმინისტრაციული ერთეული – ქ. გარდაბნის ადმინისტრაციული ერთეული									
2.4	უახლოესი დასახლებული პუნქტი – ქ. გარდაბანი									
2.5	დაშორება მნიშვნელოვანი პუნქტიდან – ქ. გარდაბნის ტერიტორია									
2.6	მანძილი სახელმწიფო საზღვრიდან – 8.8 კმ.									
2.7	მდინარის აუზი (ან მთათა სისტემა) – მდ. მტკვრის აუზი									
2.8	წიაღითსარგებლობის ობიექტის კოორდინატები – <table border="1" data-bbox="296 869 652 1014"> <thead> <tr> <th>№</th> <th>X</th> <th>Y</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td>1</td> <td>507456.932</td> <td>4590716.838</td> </tr> <tr> <td colspan="3" style="text-align: center;">WGS 1984</td> </tr> </tbody> </table> 	№	X	Y	1	507456.932	4590716.838	WGS 1984		
№	X	Y								
1	507456.932	4590716.838								
WGS 1984										
2.9	ობიექტის (წყაროს, ჭის, ჭაბურღილის) აბსოლუტური სიმაღლე ზღვის დონიდან – 311 მ.									
2.10	კლიმატური პირობები – რაიონის ტერიტორია ხასიათდება კონტინენტური კლიმატით, ზომიერად ცივი ზამთრით და ცხელი ზაფხულით. მინიმალური ტემპერატურა მერყეობს -3.0°C-დან -18.7°C-მდე (იანვარი-თებერვალი), ხოლო მაქსიმალური +32.5°C-დან +39.5°C-მდე (ივლისი-აგვისტო). ჰაერის საშუალო თვიური ტემპერატურა მერყეობს -2.1°C-დან (იანვარი) +24.8°C-მდე (ივლისი), ხოლო საშუალო წლიური ტემპერატურა მერყეობს +11.0°C-დან +13.9°C-მდე. ნალექების საშუალო წლიური რაოდენობაა 273-585.2 მმ; მათი მაქსიმალური რაოდენობა მოდის აპრილსა და სექტემბერში, მინიმუმი - აგვისტოსა და იანვარში.									
3	ხელისშემშლელი ინფრასტრუქტურული ობიექტები და სხვა ფაქტორები									
3.1	მანძილი უახლოესი საავტომობილო გზის დერეფიდან –									
3.2	მანძილი სხვა უახლოესი ინფრასტრუქტურული ობიექტებიდან –									
3.3	დამატებითი მონაცემები –									
4	სატყეო რესურსები									
4.1	სახელმწიფო ტყის ფონდის დაცული ტერიტორიების კატეგორიაში – არ ფიქსირდება.									
4.2	ეროვნული სატყეო სააგენტოს რეგიონალური სატყეო სამსახური – არ ფიქსირდება.									

4.3	სატყეო რესურსების დამატებითი მონაცემები –
5	წიაღითსარგებლობის ობიექტის გეოლოგიური პოზიცია
5.1	წიაღითსარგებლობის ობიექტის (წყაროს, ჭის, ჭაბურღილის) ჰიდროგეოლოგიური პოზიცია საქართველოს ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური დარაიონების მიხედვით – ფოროვანი და ნაპრაღური წყლების მარნეული-გარდაბნის არტეზიული აუზი.
5.2	წყალშემცველი ჰორიზონტი – წყალშემცველი ჰორიზონტი ლითოლოგიურად წარმოდგენილია კაჭარ-კენჭნარით, ხრეშის, ქვიშისა და ქვიშნარის შემავსებლებით. ჰორიზონტის საგებად წარმოდგენილია კაჭარ-კენჭნარის კონგლომერატები თიხისა და თიხნარის შემავსებლით, რაც პრაქტიკულად წყალგაუმტარის როლს ასრულებს.
5.3	ცალკეული ობიექტის (წყაროს, ჭის, ჭაბურღილის) მონაცემები (სიღრმე, კაპტაჟი) – ჭაბურღილის სავარაუდო სიღრმეა 150 მეტრი.
6	მიწისქვეშა წყლების ხარისხობრივი დახასიათება
6.1	ქიმიური შედგენილობა – გარდაბნის დაბლობში მიწისქვეშა წყლები ქიმიური შედგენილობით ჰიდროკარბონატულ-სულფატური კალციუმიან-ნატრიუმიანი, იშვიათად სულფატურ-ჰიდროკარბონატული ნატრიუმიან-კალციუმიანი ან მაგნიუმიან-კალციუმიანი ტიპისაა, საერთო მინერალიზაციით 0.63-1.33 გ/ლ-მდე. საერთო სიხისტე 1.5-10.0 მგ/ექვ. pH 7.1-7.8.
6.2	სანიტარიული მდგომარეობა – ჰორიზონტის წყლების სანიტარიული მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.
6.3	ტემპერატურა – 14-16°C
6.4	წიაღითსარგებლობის ობიექტის დაბების ხარისხი (სტადია) – გარდაბნის არტეზიული აუზის მიწისქვეშა წყლები შესწავლილია წინასწარი ძიების სტადიაზე.
6.5	წიაღითსარგებლობის ობიექტის შესწავლის ხარისხი – სალიცენზიო ჭაბურღილის ზუსტი დებიტი უცნობია, მაგრამ ჰორიზონტის წყალშემცველობის ხარისხის გათვალისწინებით, მოთხოვნილი 250000 მ ³ /წელიწადში რაოდენობის წყლის მიღება შესაძლებელია. საექსპლუატაციო მარაგი დამტკიცებული არ არის და იგი წარმოდგელობს P (პროგნოზული) კატეგორიით.
6.6	მიწისქვეშა წყლების გამოყენების სფერო (ფაქტიური და შესაძლო) – წყლის გამოყენება შესაძლებელია კომუნალური და სოფლის წყალსადენებისთვის.
6.7	სალიცენზიო პირობები წიაღით (წყალი) სარგებლობისთვის –
6.8	დამატებითი მონაცემები – <ol style="list-style-type: none"> ლიცენზიანტმა უნდა აწარმოოს მონიტორინგული დაკვირვება წყლის დებიტზე, ტემპერატურაზე და ქიმ. შედგენილობაზე; მონიტორინგის მასალებზე დაყრდნობით, ლიცენზიანტმა უნდა შეადგინოს წყლის მარაგების ანგარიში და უზრუნველყოს მისი დასამტკიცებლად წარდგენა; უზრუნველყოს სანიტარული ზონების დადგენა და დაცვა; ლიცენზიის მოქმედების პერიოდში ლიცენზიანტმა უნდა უზრუნველყოს მუდმივი ჰიდროქიმიურ-რეჟიმული დაკვირვებები და სანიტარულ-ბაქტერიოლოგიური კონტროლი.
7	წიაღითსარგებლობის ობიექტის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების ვიზუალური შეფასება
7.1	წიაღითსარგებლობის ობიექტის მორფოლოგია – სალიცენზიო ობიექტი (ჭაბურღილი) მდებარეობს მდ. მტკვრის მარცხენა, ვაკე რელიეფის მქონე ჭალისზედა I ტერასაზე.
7.2	წიაღითსარგებლობის ობიექტის და მიმდებარე ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის კატეგორია – საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივი) კატეგორიას.

7.3	წიაღითსარგებლობის ობიექტის და მიმდებარე ტერიტორიის გეოდინამიკური სიტუაცია – სტაბილურია.
7.4	წიაღითსარგებლობის ობიექტის ექსპლუატაციის პროცესში მოსალოდნელი გართულებები – მოსალოდნელი არ არის.
7.5	გეოდინამიკური და გეოეკოლოგიური გართულებების შემთხვევაში გამაჯანსაღებელი ღონისძიებების დასახვა – არ საჭიროებს.
7.6	დასკვნები და რეკომენდაციები: <ol style="list-style-type: none"> 1. სალიცენზიო ობიექტი (ჭაბურღილი) მდებარეობს ქ. გარდაბნის ტერიტორიაზე, მდ. მტკვრის მარცხენა ვაკე რელიეფის მქონე ჭალისზედა I ტერასაზე; 2. საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივი) კატეგორიას; 3. ჭაბურღილი საჭიროებს თავმორთულობის მოწყობას, მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავებას, შემოღობვას და 1 მეტრის რადიუსზე დაბეტონებას; 4. ლიცენზიანტმა უნდა აწარმოოს მონიტორინგული დაკვირვება წყლის დებიტზე, ტემპერატურაზე და ქიმ. შედგენილობაზე; მონიტორინგის მასალებზე დაყრდნობით, ლიცენზიანტმა უნდა შეადგინოს წყლის მარაგების ანგარიში და უზრუნველყოს მისი დასამტკიცებლად წარდგენა; უზრუნველყოს სანიტარული ზონების დადგენა და დაცვა; ლიცენზიის მოქმედების პერიოდში ლიცენზიანტმა უნდა უზრუნველყოს მუდმივი ჰიდროქიმიურ-რეჟიმული დაკვირვებები და სანიტარულ-ბაქტერიოლოგიური კონტროლი; 5. აღნიშნული რეკომენდაციების (პუნქტი 3.4) გათვალისწინებით, ჭაბურღილიდან წყლის მოპოვება დასაშვებია.
8	გეოლოგიური ინფორმაციის მომზადებისას გამოყენებული ფონდური და ბეჭდვური მასალა
8.1	გეოლოგიური ანგარიშის (ან წიგნის) ავტორი (ავტორები) – ტ. ხორბალაძე, ტ. ლოლაძე, დ. ასპანიძე და სხვ.
8.2	ანგარიშის შედგენის (გამოცემის) ადგილი (გამომცემლობა) და წელი – ქ. თბილისი, 1982 წ.
8.3	ანგარიშის ფონდური (საბიბლიოთეკო) ინვენტარული № – 15922

შემსრულებლები:

ს. მკალაიშვილი, ნ. ჩომახიძე, ა. ქემოკლიძე, ვ. ხურცილავა, გ. მეტრეველი, ზ. ტულუში, ქ. ბააკაშვილი

შეთანხმებულია:

სასარგებლო წიაღისეულის მართვის
 დეპარტამენტის უფროსი



მერაბ ჩალათაშვილი